ერი

№ 18

წელიწადი მეორე

1914

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . 7 მანეთი

ნახევარი წლით. . . . . 4 მანეთი

თვიურათ . . . . 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

პარასკევი, 24 იანვ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“ Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ე რ ი“

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის

გაზეთში ახლა მონაწილეობას მიიღებს ჩვენში ცნობილი პუბლიცისტები, ბელეტრისტები და კრიტიკოსები.

გაზეთის ფასი:

ერთი წლით . . .	7 მანეთი.
ნახევარი წლით	4 მანეთი.
ერთი თვით	4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . .	1 შაური.

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მ., ½ წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურათ 5 მ., ნახევარ წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზათ. მისამართი რედაქციისა და კანტორისა: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს დასაკვეთი ფულიც და სხვ. ივანოვის ქუჩა.

ნიკოლოზ, პოდპოლკოვნიკი გიორგი, კონსტანტინე, ანა, აგრაფინა ძენი და ასულნი იოსებ შავგულიძისა. ძმა თედორე შავგულიძე, ქრისტინა ჟორჟოლიანის ასული შავგულიძისა; სოფიო მანძელოვის ასული შავგულიძისა, მარიამ აბაშიძის ასული შავგულიძისა, რაჟდენ ნიკოლოზის ძე და ნინო მებუკის ასული შავგულიძისა, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი მამისა, ძმისა, ძვირფასი მამამთილისა და დაუვიწყარი ბაბუის

იოსებ შაქარას ძის შავგულიძის

გარდაცვალებას; გთხოვენ რათა პატივისცეთ მობძანდეთ და დაესწროთ მიცვალებულის გამოსვენებას ამა იანვრის თვის 26 რიცხვს, დღით კვირას 12 საათზე, (იურჩენკოვის ქუჩა, საკუთარი სახლი). პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 6 საათზე.

„რადიუმი“

ხუთშაბათიდ 6, 1914 წლის 23 იანვრიდან ახალი მხატვრული პროგრამა.

I.

პატე-ჟურნალი.

მსოფლიო ამბების ქრონიკა

II.

ფანტომასი

4 ნაწილათ, წარმოადგენს დამოუკიდებელ მთელს, თამაშით და სიუჟეტით წინა სერიებზე უკეთესია მე-4 სერია.

კინეფონი 4 ნაწილათ ცნობილ ფრანგ მწერლების პიერ სივესტროსა მარსელ ალენის რომანით

1 აკტი „მეარტელეს გაპარვა“. მე-2 აკტი „სისხლიანი კედელი“. მე-3 აკტი ფარული მასკარადი. მე-4 აკტი აპაშების ხელში

III.

ცვალებადი ბედნიერება.

კომიკური.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია დას. საღამოს 5½

ანონსი: ორშაბათიდან აჩვენებენ 1 რუსული სამხატვრო სურათიდან მარტო მოზრდილთათვის

ბაიადერკის თვალები.

ტრაგედია ოთხ ნაწილათ.

1914 წლის 2 იანვრიდან ქუთაისში, კირაკოზოვისა და ოგანოვის სახლში, ბულვრის პირდაპირ გაიხსნა

კანცელარია

ნოტარიუსის ვ. პ. კოკოჩაშვილისა.

2 января 1914 года въ Кутаисѣ на Гимназической ул. въ д. Киракозова и Оганова открыта

КОНТОРА

НОТАРІУСА В. П. КОКОЧЕВА.

ქ. ქუთაისში

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

გ. გ. გიგინეიშვილისა

15 იანვრიდან იხსნება მეორე-პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით, ანუ შესაფერ გამოცდის შემდეგ რუსულსა და არითმეტიკაში. კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მანეთი. თხოვნები მიიღება ყოველდღე კურსების კანცელარიაში.

ქალაქის თეატრი.

მოსკოვის კორშის თეატრის პრემიერის მსახიობ-მწერლის

ვიქტორ რამაზანოვის

გასტროლები.

პარასკევს, 24 იანვარს, წარმოდგენილ იქნება

I.

ცნობილი პიესა არციბაშევისა

„იჭვიანობა“

დრამა 5 მოქმედებათ.

1 მოქმედებაში ქ-ნი ლუჩეზარსკაია იცეკვავს ლეკურს.

მონაწილეობს მთელი დასი.

ადგილების ფასი 3 მ. 2 შ. 2 აბაზამდი, ლოჟები 10 მან. დასაწყისი 8½ საათ. საღამოს. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

18 დეკემბრიდან

დაიწყო ხელის მოწერა

ია ეკალაძის (ი. ცინცაძის) მოთხრობათა მეორე ტომის გამოსაცემად

წიგნი შეიცავს 400—500 გვერდს დართული ექმნება ავტორის სურათი, ფაქსიმილე და კრიტიკული განხილვა.

წიგნი გამოიცემა ავტორის ხელმძღვანელობით სუფთად და ლამაზათ.

ხელის მოწერა მიიღება ბბ-ნ კ. ოცხელის, თ. მთავრიშვილის, ი. კვიცარიძის, „პროვინციის“ წიგნის მაღაზიებში და კერძო აგენტებთან.

ფასი ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.

მიწერ-მოწერა მხოლოდ ავტორთან, შემდეგის მისამართით; ქუთაისი, კათოლიკეთა ქუჩა, სახლი ხოჯევანოვისა.

გამომცემელი აპ. ცინცაძე.

ქუთაისი

პირველი კერძო საავადმყოფო

სპეციალისტი აქიმებით.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რედიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დილით.

გ. ა. აშიანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. . .	1—2
გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის	10—12
ა. ა. რედიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო	11—12
მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ.	12—2
გ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ.	12½ 2

საღამოთ.

გ. დ. ქორქაშვილი—თვალის	4½—5½
გ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ.	5½—6½

საავადმყოფოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა.

ტელეფონი № 53

საავადმყოფოს დირექტორი—გ. ა. ჭოლოშვილი. წ.

იყიდება კახიანაურში რკინის გზის გადასავალთან ორსართულიანი ქვიტკირის სახლი, დაგირავებული ბანკში, ღვინის სარდაფით, სარაიათი და ბაღით, ზომით 400 კვ. საჟ. პირობების გაგება შეიძლება ტ. მ. კნუნთან, თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

აქიმი ქ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

აქიმი ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოში.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

აქიმი დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

პატარა შენიშვნა.

არ იქნა და ვერ მოისვენეს დასელებმა, ვერ მოისვენა ბ. გეგეჭკორმაც. ისინი ვერ შერიგებიან არჩევნებზე დამარცხებას და ლობე-ყორეს ედებიან! ბ. გეგეჭკორს არ ეყო სახელმწიფო მოღვაწის სიდინჯე და დეპუტატის სავარძლის დაკარგვასთან დაკარგა მან სიფხიზლე და გონიერებაც! მას არ აღმოაჩნდა მოწინავე საზოგადო მოღვაწის არც სიმტკიცე და არც ტაკტი და არჩევნების დასრულებისთანავე გაილაშქრა მან თავის პოლიტიკურ მოპირდაპირეთა და, განსაკუთრებით, თავისი პირადი მეტოქის წინაალმდეგ ათასგვარი ჭორითა და ცილისწამებით და ამით უნდოდა ფონს გასულიყო, მაგრამ ბედმა უღალატა და თავისსავე მიერ შეთხზული ჭორებისა და ცილისწამების ჭაობში იხრჩობა! საქმე ისაა, რომ რუსეთის ზოგიერთი გამოჩენილი მოღვაწისაგან შემდგარმა მიუდგომელმა სამსჯავრომ ს. ფედერალისტებს და ს. დემოკრატებს შორის და ბ. გეგეჭკორსა და დეპუტატი გელოვანის შორის გამწვავებული დამოკიდებულების შესახებ თავისი ავტორიტეტული სიტყვა წარმოსთქვა, გამოიტანა თავისი განაჩენი, *) რომლითაც, თუ ჩაუკვირდება ბ. გეგეჭკორი მის შინაარს, მას ცილისმწამებელი უწოდა. მაგრამ ამ თავისებურმა რაინდმა კიდევ არ დაკარგა მხნეობა და გამბედაობა, უკანასკნელ ნაფოტს ეჭიდება და ცდილობს თავი გადაირჩინოს უსახელო, სამარცხვინო დაღუპვისაგან.

როცა პეტერბურგში გამოქვეყნდა მისთვის თავმომჭრელი განაჩენი, იგი, როგორც ამაში მთელი საზოგადოება დარწმუნებულია, კვლავ გამოვიდა ბ. გელოვანის წინაალმდეგ ჭორითა და ცილისწამებით, და ეს ყველაფერი გამოფინა გაზეთის ფურცლებზე. ამ ახალი ბრალდების დედაგული ის არის, ვითომ ნაფიც ვექილს გელოვანს ედალატოს თავისი მარწმუნებელი გლეხებისთვის, მიმხრობოდეს თავადებს და ამისათვის განზრახ გაეშვას გლეხების საკასაციო საჩივრის ვადა. ჯერჯერობით არსებითად არ შევეხებით ამ ახალ ბრალდებას. ამას ცოტახნით გადავდებთ და მერე საბუთებით დავანახებთ საზოგადოებას თუ რამდენათ მტყუანია აქ ბ. გელოვანი.

ხოლო ნაფიცი ვექილის, ბ. გეგეჭკორის ამგვარი საშვალებით გამოლაშქრება მისი კოლეგისა და მასთანავე მისი პოლიტიკური და პირადი მეტოქის წინაალმდეგ კი იმდენათ შეუწყნარებელი მოქმედებაა, რომ თვითონ ბ. გეგეჭკორიც ვეღარ ბედავს აშკარათ გამოვიდეს, ამოფარებია გლეხების სახელს და არწმუნებს ქვეყანას—მე არაფერ შუაში ვარ, მე წინაალმდეგი ვიყავი ასეთი გამოსვლისაო. იქნება ეს ასეც იყოს, და თუ ეს ასეა, ბ. გეგეჭკორი ამ საქმეში მართალი აღმოჩნდება, ჩვენ ძლიერ სასიამოვნოთ დაგვირჩება, მაგრამ საზოგადოებაში კი დაბეჯითებით ლაპარაკობენ, რომ ის ამ შეუფერებელ კამპანიაში პირველ როლს თამაშობს და თითქო ისიც კი იციან თუ საიდან და რა გზით შეიქნა იგი ამ საქმის ხელმძღვანელი!

ჩვენს გარდა, სასამართლოც გამოარკვევს და დაამტკიცებს, თუ რამდენათ უსაფუძვლოა ბ. გელოვანის წინაალმდეგ წამოყენებული ბრალდება, მაგრამ არა მჯერა, რომ ბ. გეგეჭკორმა რაინდობა მოიხმაროს და ხმამაღლა აღიაროს სამსჯავროს წინაშე: „ფიქრის“ რედაქცია აქ არაფერ შუაშია, ეს ჩემ მიერ გადასროლილი ცილისწამება არის და მე დამსაჯეთო! არც ის გვჯერა, რომ მან, თუ მართლა თვითონ არ არის ამ ახალი კომპანიის დამწყები და ხელმძღვანელი, საჯაროთ დაგმოს პოლიტიკური ბრძოლის ასეთი საშვალება!

წარსულ ჟამთა წიგნი რომ გადავფურცლოთ, იქნება ბევრს ვიპოვიდით ისეთ ამბებს, რომლის გამომჟღავნებაც დიდების გვირგვინით ვერ შეამკობდა დასელთ ყოფილ, ან აწმყო დეპუტატებსა და ლიდერებს, მარამ ეს ჩვენი საქმე არ არის, კერძო ცხოვრების ქექა და იქ ტალახის ძებნა დასელთათვის მიგვინდვია!

ოდესღაც იმედი იყო გამოთქმული, რომ ბ. გეგეჭკორი დამშვიდდება და კვლავ მოიხვეჭს ყოველი პატიოსანი მოაზრის პატივისცემასო, მაგრამ, ეტყობა, ეს იმედი არ უმართლდება ამის მთქმელს! ამდენ ხანს ვერ დამშვიდდა, ვერ მოისვენა და, ვფიქრობთ, ვერც მოისვენებს თავის დღეში: თუმცა კიდევ აღვიარებთ, რომ დიდათ სასიამოვნოთ დაგვრჩება, თუ ბ. გეგეჭკორი თავიდან მოიშორებს იმ ჩირქს, რომლითაც შესვრილია ახალი გამოლაშქრება ბ. გელოვანის წინაალმდეგ. №№.

*) ეს განაჩენი უკვე დაბეჭდილი იყო გაზეთებში. ამ განაჩენის ძალით ს. ფედერალისტები სრულებით გათავისუფლებული არიან ბ. გეგეჭკორისა და მის თანამოაზრეთა მიერ წამოყენებული ცილისწამებისაგან.

ახალი ამბავი.

როგორც „ერის“ მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის საქალო სასწავლებელში მოულოდნელათ დაინიშნა ახალი ინსპექტორი, ნაცვლათ ბ-ნ ს. ი. ოცხელისა, რომელიც ასრულებდა ამ თანამდებობას. ბ. ოცხელს ამავე სასწავლებლის ზოგიერთ კლასში მათემატიკის გაკვეთილიც ქონდა, 18 ამ თვეს მან თხოვნა შეიტანა მასწავლებლობიდანაც გამათავისუფლეთო. ამ დღეებში მოწაფე ქალები გამოეთხოვენ მას.

✦ 21 იანვრის სხდომაზე სახელმწიფო სათათბირომ იქონია მსჯელობა კავკასიაში მოუსავლობისა და მცხოვრებთა დახმარების საკითხის შესახებ. სხვათაშორის, ამ საგანზე მსჯელობის დროს სიტყვა წარმოსთქვა დეპუტატმა გელოვანმა. მან

მოითხოვა 8½ მილიონ მანეთის გადადება საჭმელი სურსათისა და საქონლის საკვების შესაძენათ.

✦ ჟურნალ განათლებას სოხუმის ოლქიდან ატყობინებენ აფხაზეთისა და სამურზაყანოს დაწყებით შკოლაში ქართული ენა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. ქართულ ენას კვირაში ორი გაკვეთილი აქვს დათმობილი და ამ ორი გაკვეთილითაც ვერ სარგებლობენ რიგიანათ.

✦ თფილისში დაარსდა წიგნის გამომცემელთა ამხანაგობა „სინათლე". ამხანაგობა დროგამოშვებით გამოსცემს ქართველი მწერლების თხზულებებს. ამხანაგობა პირველათ ბ. ახოსპირელის ლექსებისა და პოემების სრულ კრებულს გამოსცემს.

✦ ქუთაისის პოლიცმეისტერმა გამოაკრა განცხადება, სადაც აცხადებს იმ სახლის პატრონებისათვის მეეზოვის ყოლა სავალდებულოა, რომელი სახლის პატრონების შემოსავალიც 1500 მანეთს უდრისო. პოლიცმეისტერი აცხადებს, რომ ეს განკარგულება პირველი თებერვლიდან უნდა იქნას შესრულებულიო.

✦ 24 იანვარს ქალთა წრის მორიგ კრებაზე ჩიტო შარაშიძის ასული ეგ. ნინოშვილის შესახებ ისაუბრებს.

✦ ქუთაისის დრამატიულმა საზოგადოებამ გადასწყვიტა კ. ყიფიანის იუბილეში მონაწილეობა მიიღოს და იუბილეს დღეს თფილისს მისალოცათ დეპუტაცია გაგზავნოს. დეპუტაციას, გარდა მილოცვისა, დავალება ქუთაისში მოიწვიოს იუბილიარი სადაც გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა და შემდეგ მილოცვები. ამ საქმისთვის განსაკუთრებული საიუბილეო კომიტეტი ქუთაისში არ შემდგარა იუბილეს. მოწყობა თავს იდვა ქუთაისის დრამატიული საზოგადოების გამგეობამ. ქუთაისში დღესასწაული კ. ყიფიანის პატივსაცემათ გაიმართება არა უგვიანეს ერთი კვირისა თფილისის იუბილეს შემდეგ.

✦ 22 იანვარს მოწვეული იყო ქალაქის საფინანსო და სამშენებლო კომისია ნ. ნიკოლაძის მიერ წარმოდგენილი წერილობითი წინადადების განსახილველათ. კომისიამ წინასწარ გასაცნობათ საჭიროთ დაინახა ამ წინადადების დაბეჭდვა და კომისიის წევრებისთვის დარიგება. შემდეგი სხდომა კომისიას ექნება დღეს, საღამოს 8 საათზე.

✦ 23 იანვარს სხდომა ქონდა ქალაქის საშკოლო კომისიას, რომელსაც უნდა განეხილა ოლქის მზრუნველის წინადადება, ქუთაისში მეორე რეალური სასწავლებლის დაარსების შესახებ.

✦ ქალთა წრეს შემოსწირეს ვანო ზურაბიშვილმა 3 მ., თადეოზ კეშელავამ 5 მან.

ია ეკალაძე-ცინცაძე.

წელს შესრულდა ოცი წელიწადი ია ეკალაძის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობისა. ია ეკალაძე დაიბადა 1872 წელს თერგის ოლქის ს. ციმისში. პირველდაწყებითი სწავლა სამრევლო შკოლაში მიიღო, რომლის დასრულების შემდეგაც სწავლობდა გორის სასულიერო სასწავლებელში. აქ მას ხელმძღვანელობასა და მფარველობას უწევდა მაშინ ამ შკოლის მასწავლებელი სოფრ. მგალობლიშვილი. ია მეოთხე კლასში იყო, როდესაც მისი მეთაურობით გამოვიდა მოწაფეთა ხელთნაწერი ჟურნალი „შრომა". 1887 წლიდან თფილისის სასულიერო სემინარიაში გადავიდა. მაშინ სემინარიაში, სხვათაშორის, სწავლობდენ ეგ. ნინოშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, ი. ალიაძე, ნ. ჟორდანია, ფ. მახარაძე, სპ. ლეკვეიშვილი და ბევრი სხვა. მოწაფეებს ქონდათ წრე, სადაც კითხულობდენ თუ თავის რეფერატებს და თუ რუსეთის გამოჩენილი მწერლების თხზულებებს. ამგვარ წრეებში ია ეკალაძე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. ის სხვა შეგნებულ მოწაფეებთან ერთად 1893 წელს შკოლიდან გამორიცხეს. 1894 წელს „ივერიაში" დაისტამბა პირველი მისი მოთხრობა—ილიკო ბედენაძე. ამ მოთხრობის დასტამბვას შემდეგ ია „ივერიის რედაქციაში მიიწვიეს სამუშაოთ. რამდენიმე წლის შემდეგ მთავრობამ ის მოთხრობის გამო გაზეთი „ივერია" დახურა, ხოლო ავტორი ადმინისტრატიული წესით ლენქორანში სამი წლით იქნა გადასახლებული. ათი წლის წინათ გამოიცა ია ეკალაძის თხზულებათა პირველი ტომი. აქ წინასიტყვაობაში აღნიშნულია, თუ ვინ ყავს მას თავის მოთხრობაში გმირათ გამოყვანილი. იას მოთხრობებს პუბლიცისტიკური ხასიათი აქვს. ის თავის მოთხრობებში კიცხავს უკუღმართობასა და ძალმომრეობას. ია ეკალაძემ დიდი სამსახური გაუწია ჩვენს მწერლობას მით, რომ ინტელიგენტური პროლეტარის ტიპი დაასურათა. ა. ხახანაშვილი ია ეკალაძის თხზულებათა შესახებ ასე სწერს: მისი გმირები თვით ავტორის სურათებია, რომელმაც სემინარიიდან გამოგდებას შემდეგ დიდი წვალებით შეისო სწავლის ნაკლი; თავისი გმირების მზგავსათ (გენო, ილიკო, ტიმოთე), ვერც იგი შეუთვისდა სასწავლებლის რეჟიმს, სამსახურის ასპარეზს და ცხოვრების ტალღებს შეებრძოლა. 1906 წელს ია ყაზანის უნივერსიტეტში შევიდა და 1910 წელს დაასრულა იურიდიული ფაკულტეტი. უმაღლესი სწავლის მიღების შემდეგ ცხოვრობდა თფილისში და ერთხანს გაზეთ „დროების" მონაწილეობას ღებულობდა. 1912 წელს გორში გადმოსახლდა და იქ გამოსცა გაზეთი „ქართლი". დღეს პატივცემული მწერალი ქუთაისში ცხოვრობს და ქართული ენის მასწავლებლათაა წმ. ნინოს შკოლაში, ხოჯევანიშვილის პროგიმნაზიაში და ქართულ გიმნაზიაში. წელს გამოდის მისი თხზულებათა მეორე ტომი. სასურველია, ჩვენი კულტურული დაწესებულებები ია ეკალაძის ოცი წლის მოღვაწეობას აღნიშნავდენ. ოცი წლის სამწერლო მოღვაწეობა არც ისე ადვილია, რომ ამგვარი შრომა არ დავაფასოთ.

აქ-იქაური.

ვისაც თავისი კარგი წარსულის პატივისცემა არ აქვს;

ვინც ძველების ძველს ამაგს, ერისა და ქვეყნის სახელისთვის გაწეულს, არ აფასებს;

ვინც ღირსეულად არ უვლის და თავს არ ევლება იმ ნიშნებსა და ისტორიულ განძთა, რაც მოწმობს ერის ძველს, ნათელ სიცოცხლეს;

ვისაც არ ესმის, რათაც უღირს თანამედროვე ქვეყანას ძველი ნაშთების დაცვა-მოვლა...

მან არ იცის ფასი თავისი.

ისტორიული ცხოვრების ნაშთები—ეს ფუძეა ერის კულტურული სიცოცხლისა. უ-ამ-ფუძეოთ შენობა აიგება?

ისტორიამ იცის ბევრი ძლევამოსილი ერის ცხოვრების ამბავი. სიძველენი მოწმობენ ამა თუ იმ ერის ისტორიულს, კულტურულ ცხოვრებას...

მაგრამ ალგვილან ქვეყნისაგან, რადგან ვერ დაუცავთ ეს სიძველენი. მათი დიდებისა ერთი მხოლოდ მატიანეღაა დარჩენილი.

ნუ გავხდით სამატიანოთ ჩვენს თავს...

მეტი ყურადღება ისტორიულ ნაშთებს, სიძველეს, ჩვენი სიცოცხლე-ცხოვრების საფუძველს,—თუ გვინდა ამ საფუძველზე მაგარი შენობა აიგოს.

ვიცოდინოთ—„რა ვიყავით, ვინ ვიყავით ჩვენ ქართველნი ძველსა დროსა",—ამას ახალი შუქიც მოვფინოთ და გამტკიცდება საფუძველი ძველი კულტურული ცხოვრებისა.

ახალის ასაღორძინებლათ ნიადაგია საჭირო...

ეს ნიადაგიც ჩვენი „ძველობაა".

მოვუვლით მას—დავრჩებით...

და ეს ნიადაგი უპირველეს ჩვენი ენა, მიწა-ტერიტორია და მასზე აგებული ნაშთები ძველი დიდებისა—ფუძე ახალი ცხოვრების ასაშენებლათ. დ.

დღიური

— ცნობაა—ეპირში ალბანელებსა და ბერძნებს შეტაკება მოუხდათ და ალბანელები უკუაქციეს.

— საბერძნეთის ელჩმა სტამბოლში ხონთქარს რწმუნებითი ქაღალდი ჩააბარა.

— ლვოვში რუსთა კრების გამო პოლონელთა და უკრაინელთა ახალგაზრდობამ დემონსტრაციის მოხდენა განიზრახა მაგრამ პოლიციამ დემონსტრატები მოფანტა.

— დუმერგმა საგარეო საქმეთა კომისიაში განაცხადა პუტილოვის-ქარხნის საკითხი საფრანგეთის სასარგებლოთ მოგვარდაო.

— სპარსელი ვაჭრები თხოულობენ გერმანიის საკონსულოს დაარსებას.

— შვეციის საზღვარზე 422 ბრაუნინგი და პატრონები დაიჭირეს.

— იტალიის პარლამენტის სხდომები დაიწყო. მთავრობამ პარლამენტში პროექტი შეიტანა, სადაც გადასახადების 47 მილიონი მანეთით გადიდებაა თხოულობს.

— საბერძნეთის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე ვენიზელოსი მეფეს წარუდგა.

გენერალ. ტოლმაჩევი.

ეჭვი არაა მკითხველებს ემახსოვრებათ გენერალ ტოლმაჩევის მიერ გურიას განადგურება. ის გურიის შემდეგ მსახურობდა ბაქოში და, თავისი სისასტიკით, იქაც სახელი გაითქვა. ის დღეს სამსახურში არ არის და ქ. კალუგაში ცხოვრობს. მასთან მისულა გაზეთ „ნოვის" კორესპონდენტი, რომლისათვისაც გურია-ბაქოში მოღვაწეობის შესახებ შემდეგი უთქვამს:—„ახლა, როდესაც ვიგონებ ბაქოში, გურიაში და შემდეგ ადესაში ცხოვრებას, თმა ყალყზე მიდგება. ბევრჯერ განიზრახეს ჩემი მოკვლა და მე შემთხვევით დავრჩი ცოცხალი, ჩემი ქალიშვილი გურიაში ტყვიით დასჭრეს, ცოლს მაშინდელი ამბის შემხედვარეს, ახლაც აქვს ნერვები აშლილი. მე გავთეთრდი და გავეწამე—აი რა მოგვიტანა ამ მძიმე ბრძოლამ მე და ჩვენს ოჯახს. ბაქოში ყველაფერი არეული იყო: ქუჩებში ერთმანეთს კლავდენ, ვინ ვის ეჩხუბებოდა, ძნელი იყო ამის გაგება. დღეს რომ სომხები მთიელებს ებრძოდენ, ხვალ მთიელები რუსებს და სხვა. სამრეწველოები იწვოდა. მუშები მშიერი ისხდენ. მე ერთერთი პოლკის კაბანდირმა ჩავიგდე უფლება ხელში და დავაცხრე აბობოქრებული სტიქია. ყველგან და ყველასთან უდარაჯოთ დავდიოდი. და სწორეთ საკვირველება მოხდა, რომ მე გადავრჩი, უსაზღვროა ჩემი რწმენა ღვთისადმი. მე ამ რწმენამ ბევრჯერ მიხსნა. ერთჯერ ერთერთი სოფლის ქუჩაზე გურიაში მივდივარ და ვხედავ ოთხ დარაჯს მიყავს ტყვე. დარაჯებს ხალხი დასევია და ტყვის გათავისუფლებას ლამობდენ. ტყვე დარაჯებს წაართვეს კიდეც. ჩამოვედი ცხენიდან და მივედი დაპატიმრებულთან, რომლის გარშემოც ხალხი იყო შეკრებილი. ხალხი, ბრბო აღელვებულ ზღვას წარმოადგენდა: ხმაურობდენ, ყვიროდენ. მაშინ ამოვიღე რევოლვერი მივადევი ტყვეს შუბლზე და დავიყვირე, თუ ხელი გიხლიათ ვესვრი-მეთქი. ამ მუქარამ იმოქმედა, ხალხმა ტყვე დასტოვა და მე კი გავიმარჯვე. გურია ჩემს დროს ხელახლა იქნა დაპყრობილი და არა დამშვიდებული. მაშინ შეუბრალებელი და სასტიკი ომი იყო. ორივე მხარე ერთმანეთს არ ზოგავდენ იჭერდენ და სჯიდენ, სჯიდენ სასამართლოს დაუკითხავათ, მაგრამ, უკაცრავათ, განა სასამართლო შესაძლებელია ომის დროს! ვსჯიდით ხშირათ უსამართლოთ, მაგრამ მაშინ უამისობა არ შეიძლებოდა". შემდეგ ტოლმაჩევი მოუყვა კორესპონდენტს ადესის ამბებს. მან სთქვა: „მე საზოგადოთ პროვოკატორები არა მწამს და არც არასოდეს მიმსახურია ისინიო". ბოლოს შეეხო დღევანდელ ხანას და ასეთი აზრი გამოსთქვა: „რევოლუციის დრო წავიდა, მხარე დამშვიდდა. ახლა დადგა დრო სახელმწიფო წესების გარდაქმნისა, მაგრამ შეუძლებელია რეფორმის მოხდენა იმათ ხელში, ვისაც დღეს ეს საქმე ეკითხება. ჩემი ცხოვრება შევსწირე სახელმწიფო სამსახურს. დღეს იდეალები დამემსხვრა, რწმენა მომესპო, ყველაფერი დავკარგე: დროც, იმედებიც და მუშაობაც. კარიერა დავიწყე კაბინეტური ცხოვრებით, და უმჯობესი იყო ამგვარივე ცხოვრება განმეგრძო. მე მაქვს ისტორიული შრომები რუსეთის შესახებ და ჩემი სახელი სწავლულებისათვის უცნობი არ არის. პოლიტიკურ მოღვაწეობაში მე გამიტაცა არა პატივმოყვარეობამ, არამედ სამსა-

აფხაზეთის მთავარი

ქელიშ-ბეი შარვაშიძე.

(ისტორიული ამბავი).

გაგძელება, იხ. „ერი"-ს მე-17 №.

II.

თუმცა ხალხის მართველათ, მთავრათ, ზურაბს შემდეგ მისი ძმისწული ქელიშ-ბეი იყო, მაგრამ მის მთავრობას დღითიდღე საფუძველი ეცლებოდა. რამდენათ თ. შარვაშიძეების გავლენა ხალხზე სუსტდებოდა, იმდენათ თავად ძიაფშიპების გვარეულობა ფრთებს ისხამდა და ხალხზე ბატონდებოდა, თავადი ძიაფშიპები ფარულათ მოქმედებდენ თ. შარვაშიძეების წინააღმდეგ და სამარეს უთხრიდენ ქელიშ-ბეის მთავრობას. ამ დროს ზურაბი ისევ თავის სამშობლოში დაბრუნდება და თავად ძიაფშიპების გაძლიერებას, მათ მიზანსა და მისწრაფებას თვალყურს ადევნებს.

კაი ხნის დაკვირვებამ შემდეგ ზურაბი რწმუნდება, რომ თ. ძიაფშიპებთან ისევ მეგობრობა, ტკბილი სიტყვა და მოქმედება უფრო გასჭრის, ვიდრე მუქარა, ძალა და მუშტი. ამ მიზნის განსახორციელებლათ, ზურაბი თ. ძიაფშიპებს უმეგობრდება, უახლოვდება და შემდეგში კიდევაც ემოყვრება.

თავის ძმისწულს ქელიშ-ბეის, შერთავს თ. ძიაფშიპების გვარეულობიდან და ამ ნათესაური კავშირით აკავშირებს თ. შარვაშიძეებისა და ძიაფშიპების გვარეულობას.

მეგობრობისა და ნათესაობის თაყვანისმცემელი მუდამ იყო აფხაზი. მაშინაც პატივი სცეს ამ კავშირს და თავად შარვაშიძეების წინააღმდეგ შური და მტრობა შესწყვიტეს.

თ. ზურაბს ეს მდგომარეობა ხანგრძლივათ მიაჩნდა და მის სიხარულს, აღტაცებას საზღვარი არ ქონდა.

იგი დარწმუნებული იყო, რომ ყოველგვარ ღალატსა და მტრობას თ. ძიაფშიპების მხრით ბოლო მოეღო, მოისპო, აღარ იქნებაო, მაგრამ, საუბედუროთ, ახალმა გარემოებამ ძველი ტკივილები ისევ გაამძლავრა, მიყუჩებული გრძნობები აალელვა და თ. ძიაფშიპები თ. შარვაშიძეების მტრებათ აამხედრა.

ამის მიზეზი ის იყო, რომ ქელიშ-ბეიმ ცოლი გააგდო. ამ ცოლის ხელში ყავდა მას შვილი ასლან-ბეი. ქელიშ-ბეის თვალით არ დაენახებოდა არც ცოლი და არც მის ხელში შეძენილი ვაჟი. მეორე ცოლისგან მას გაუჩნდა სეფერ-ბეი და ტახტის მემკვიდრეთ მამა ამას ასახელებდა, თუმცა კანონით ტახტის მემკვიდრეობა ასლან-ბეის ეკუთნოდა.

ჩამოვარდა შური და მტრობა მამაშვილსა და ძმა-ძმის შორის. აქ ხალხი გაიყო ბანაკებათ: ერთი ნაწილი ერთს უთანაგრძნობდა მეორე—მეორეს.

ამ არეულობით ისარგებლეს თ. ძიაფშიპებმა, მათ მიეკედლა ასლან-ბეიც და ქელიშ-ბეის სიკვდილი გადასწყვიტეს.

გადაწყვეტილება სისრულეში უნდა მოეყვანათ, რომ ქელიშ-ბეიმ ეს ამბავი შეიტყო და მათ შესაპყრობლათ შეიარაღდა.

ამ დროს, ვინც მოასწრო და წებელდის უღრან ტყეს მისცა თავი, ხომ გადარჩა სიკვდილს, ვინც შეიპყრეს ყველას, ქელიშ-ბეის ბძანებით, თავი გააგდებიეს.

გაქცეულებში მოხვდა ასლან-ბეიც და სიკვდილს გადარჩა და მამის სიკვდილის საქმეს ახლა კიდევ უფრო ბეჯითად და მედგრათ შეუდგა.

გაბრაზებულ თავადს დღე ის ახსოვდა და ღამე მოსვენებას არ აძლევდა, რომ როგორმე მამა ხელში ჩაეგდო და მისი სისხლით გამძღარიყო.

თუმცა ქელიშ-ბეიც ძლიერ ფრთხილათ იყო, შვილის დაგებულ მახეში არ გაბმულიყო, მაგრამ ნათქვამია—„კაცს რაც ბედისგან უწერია, არ აშორდებაო", და საბრალო მოხუცს ქელიშ-ბეისაც არ აშორდა შვილის ხელით სიკვდილი.

1808 წელს, 2 მაისს, ღამით, თავის საკუთარს ოჯახში, ასლან-ბეიმ თავისი ხელით მოკლა მამა, თავისი ორი ძმა, მესამე სასიკვდილოთ დასჭრა და თვითონ თავისი მხლებლებიანფხაზებით სოხუმის ციხეში ჩაიკეტა...

ამგვარმა ველურმა მოქმედებამ და ღვიძლი შვილის მიერ მამის სისხლის დაღვრამ ყველა აალელვა, ყველას სამწუხარო გრძნობები აუშალა.

ამ სამწუხარო ამბავმა, რასაკვირველია, მაშინდელს მთავარმართებელგრაფ-გუდოვიჩამდისაც მიაწია და ამ უკანასკნელმა ხელმწიფე იმპერატორს 19 მაისს იმავე 1808 წელს შემდეგი უქვეშევრდომილესი მოხსენება გაუგზავნა:

„ეს არის გენერალ მაიორის რიკგოფისგან მოხსენება მომივიდა, რომლის გამოც ვბედავ მოგახსენოთ შემდეგი: აფხაზეთის მთავარი ქელიშ ბეი, რომელიც ოსმალეთის ქვეშევრდომათ ითვლებოდა და რომლის სამთავროც ოდიშს ესაზღვრება, 2 ამა მაისს, ღვიძლი შვილის, ასლან-ბეის მიერ ველურათ მოკლულ იქნა.

ეს ის პატივცემული მოხუცი იყო, რომელიც დღიდან რუსის ჯარის იმერეთსა და ოდიშში შემოსვლისა, მუდამ მზათ იყო მიეღო ქვეშევრდომობა თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობისა და არა ერთჯერ მოურთმევია ამის შესახებ უმაღლესი თხოვნა.

ეს ის მოხუცი გახლავთ, რომლის თხოვნაც თქვენს უდიდებულესობას ბოლოს შეუწყნარებია, მისი ქვეშევრდომობა მიუღია და ამის შესახებ, თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობას ბძანებაც კი მიუცია, ხერსონის სამხედრო გუბერნატორის გენერ. ლეიტენანტის დიუკ-დე-რიშელიესთვის, მაგრამ ამ ამბავს ჯერ ჩვენამდი არ მოუწევია...

მკვლელი—მისი ღვიძლი შვილია, რომელიც დიდიხანია, გაუდგა მამას და აღარ ემორჩილება.

ის შვილი კი არა მოსისხლე მტერი იყო მამისა და მუდამ დროს, შემთხვევას ეძებდა მოეკლა, ტახტი გაეთავისუფლებია და თვითონ გამთავრებულიყო.

ეს ამბავი მამამ კარგათ იცოდა და ისიც ვაჟკაცურათ იგერიებდა მას. არა ერთჯერ განუზრახავს მას მამის სიკვდილი, მაგრამ ყოველთვის დამარცხებული რჩებოდა.

ბოლოს ადგილობრივ ჩვეულებას მიმართა. მამას ისევ შეურიგდა, ტკბილი სიტყვით მოქმედება არჩია. შეურიგდა იმ მიზნით კი არა, რომ მათ შორის მამაშვილური კავშირი შეკრულიყო. არა. ასლან-ბეის სულ სხვა მიზანი ქონდა. მას უნდოდა მამის დაახლოება, რომ დრო ეშოვა და ეს პატივცემული მოხუცებული წუთისოფლისთვის გამოეთხოვებია.

მოხუცებულმა მამამ შერიგებულ შვილს გაუხსნა გული და სრული ნდობით შეუშვა თავის ოჯახში...

ასლან-ბეიმ ამგვარს მშობლიურ გრძნობას მტრულათ შეხედა და სიყვარულის ნაცვლათ სისხლით გასვარა. ერთ ღამეს ქელიშ-ბეი შინ არ იყო. ამით ასლან-ბეიმ ისარგებლა და მოემზადა.

იმ დროს, როდესაც მოხუცებული მამა შინ მიდიოდა, თან უმცროსი შვილი ბატალ-ბეი მოყვებოდა, სწორეთ ის ბატალ-ბეი, რომელიც ამანათად უნდა გამოეგზავნა თქვენის იმპერატ. უდიდებულესობისთვის, ნიშნათ თქვენის ქვეშევრდომობისა, კარებში დახვდა ასლან-ბეი და ცხელი ტყვიით მამას მიეგება, მაგრამ მამის მაგიერ, უმცროსი ძმა ბატალ-ბეი დასჭრა. შემდეგ გაბრაზებული მამას მივარდა, ოთხჯერ ესროლა, ორი ძმა: როსტომ ბეი და მცირეწლოვანი მოკლა და სამთავროს ხელში ჩაგდებას შეუდგა...

მამას ჯერ კიდევ სული ედგა, რომ დაჭრილ ბატალ-ბეის მოუწოდა. სამთავრო ჩააბარა და სიტყვიერი დარიგება მისცა, რომ თქვენი იმპერატ. უდიდებულესობის ქვეშევრდომობა მიეღო და თანახმათ თქვენის ბძანებისა ემოქმედა. ასლან-ბეის ეს მუსაიფი ეყურებოდა. გაბრაზდა, გონება დაკარგა და მომაკვდავს მოხუცებულ მამას მივარდა. სულის განტევება აღარ აცალა, მამის სასიკვდილოთ დაჭრილი გვამი, კიდევ უფრო მწარეთ დაჩეხა, ლუკმა-ლუკმა აკუწა და თავისი მხლებლებით სოხუმის ციხეში ჩაიკეტა.

დღეს ეს ციხე გარშემორტყმულია სეფერ-ალი-ბეგის მომხრე ჯარით. სეფერ-ბეი უფროსი შვილია ქელიშ-ბეისა და აფხაზეთის სამთავროს ტახტიც იმას ეკუთნის...

გენერალ რიკგოფს ეს სამწუხარო ამბავი სეფერ-ბეიმ აცნობა, თავისი მოხელის რეჯება-ალის ხელით, სადაც სწერდა, ამ სამწუხარო ამბავს გარდა, იმასაც, რომ გენერალს მისთვის ჯარი გაეგზავნა და მამის მკვლელი ასლან-ბეი დაესაჯა, რისთვისაც პირდებოდა, როგორც თავის-თავის თქვენ იმპერატ. უდიდებულესობის ქვეშევრდომობას, ისე მთელი აფხაზეთის სამთავროის თქვენდამი გადმოცემას.

მე ვერ გავბედე ჯარის გაგზავნა, ერთი იმიტომ, რომ თქვენი იმპერატორობითი უდიდებულოსობისგან მქონ-

ხურის სურვილმა... და ვიმსახურე კიდეც. დღეს საქმეზე თუ დამიძახებენ, მე მზათა ვარ წავიდე სამუშაოთ, მაგრამ ეს ის არ იქნება რაც იყო. ძნელია რწმენას მოკლებულმა რამე გააკეთოს“.

რუსეთი.

ამბები მუშათა ცხოვრებიდან. 17 იანვარს პეტერბურგში გაათავისუფლეს 10 მუშა წარსული წლის დეკემბერში დაპატიმრებულნი. გათავისუფლებულებს ებძანათ, რომ მათ სამი დღის განმავლობაში დატოვონ პეტერბურგი.

დიტვალდის ქარხანაში გაფიცვის გამო დაითხოვეს 22 მუშა. მათთვის წინასწარი დათხოვის შესახებ არაფერი გამოუცხადებიათ. მუშებს საჩივარი შეაქვთ სასამართლოში და თხოულობენ ორი კვირის ჯამაგირს.

სოფელ ვალინკინონოში ქაღალდის ქარხნის მუშები დააჯარიმეს 9 იანვრის გაფიცვის გამო. მუშებმა ჯარიმის გადახთაზე უარი სთქვეს, რის გამოც მექარხნემ ყველა მუშა დაითხოვა. დათხოვილია სულ 1200 მუშა. გაფიცულებს შორის რამდენიმე პირი დაპატიმრეს.

ობუხოვის ქარხნის ადმინისტრაციისა და მუშებ შორის სამედიატორო სასამართლო დაინიშნა. სამედიატორო სასამართლომ ორივე მხარე მოარიგა და მუშებმა მუშაობა განაახლეს.

კანონპროექტი. სახალხო განათლების სამინისტროს კანონპროექტი საყოველთაო განათლების შემოღების შესახებ ნახევარი წელიწადია შემუშავებულია, მაგრამ საბჭოერი აჩერებს და არ შეაქვს სათათბიროში.

როძიანკო. სათათბიროს თავჯდომარე როძიანკო დათანხმდა, რომ თავჯდომარეთ დარჩეს. როძიანკო თავჯდომარეთ დროებით დარჩება.

მემარცხენე ოქტომბრისტები. მემარცხენე ოქტომბრისტებს საორგანიზაციო სხდომა ქონდათ, სადაც ჯგუფის თავჯდომარეთ აირჩიეს შიდლოვსკი, ხოლო მის ამხანაგათ ოპოჩინინი.

უცხოეთი.

ხმები. ცნობაა—ბულგარეთმა უბძანა ჟენევაში მყოფს ბულგარელ აფიცრებს მზათ იყავითო. ამ ცნობას და იმ ხმებსაც, ვითომ ბულგარეთი სამობილიზაციოთ ემზადებოდეს, ბულგარული პრესა კატეგორიულათ უარყოფს. პეტერბურგშიც ცხოვრობენ ბულგარელი აფიცრები, მაგრამმათ არ მიუღიათ ცნობა მობილიზაციის შესახებ.

უნგრეთის საზოგადოება. უნგრეთის დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონპროექტი შეიარაღების გაძლიერების შესახებ. ამ კანონპროექტის ძალით ჯარის კაცთა რიცხვი ყოველწლობით 31,300 კაცით გადიდდება. უნგრეთს კერძოთ სულ 106,694 ჯარის კაცი გამოყავს.

კონგრესი. ფრანგ სოციალისტების კონგრესმა, როგორც გუშინ იყო აღნიშნული, იმსჯელა სოციალისტების რადიკალებთან ბლოკის შესახებ. გუსტავ ერვე ბლოკის მომხრე იყო და უპასუხა მას სემბამ და ჟორესმა. ჟორესმა გამოსთქვა ის აზრი, რომ სოციალისტები დაწყებით არჩევნებში დამოუკიდებლათ უნდა გამოდიოდენო. არჩევნების პირველ საფეხურზე ჩვენი კომპანია უნდა იყოს სოციალისტური კომპანიაო. კონგრესზე ერთმა ორატორთაგანმა განაცხადა: არჩევნების დროს ჩვენ არ უნდა გავმართოთ რეაქციონერებთან მოლაპარაკება. ჩვენ შეგვიძლია და უნდა გავიდეთ კიდეც რესპუბლიკანელთა ხმით.

პარლამენტარული კრიზისი. ჩეხელი გაზეთები რეიხსტაგის დახურვას ჩეხთა გამარჯვებათ სთვლიან. „გაზეთების აზრით, ობსტრუქცია შტიურგკის კაბინეტის გადადგომამდი უნდა გაგძელდეს. ჩეხელები ამრჩევლებისადმი მანიფესტს ამზადებენ. ნემცების ნაციონალურმა კავშირმა მოწოდება გამოსცა ამრჩევლებისადმი და აღნიშნა, რომ პარლამენტი ჩეხთა გამოტვინების გამო დაიხურაო. მოწოდება ასე თავდება: სჯობია არ გვქონდეს პარლამენტი, ვიდრე იყოს უმცირესობის ტერორიო.

ბალკანეთის ამბები. სერბიამ ალბანეთის საზღვარზე მდგომი გარნიზონი გააძლიერა. კრებენ მოთადარიგე ჯარის კაცებსაც. გათავისუფლებულ აქიმებსა და აფიცრებს ებძანათ თავის სამსახურს დაუბრუნდენ. რუსკოე სლოვოს კორესპონდენტი მივიდა სამხედრო სამინისტროში იმის გასაგებათ, თუ რამდენათ მართალია ეს ამბები. უთხრეს: ეს ერთგვარ წესათ შემოვიღეთ, რომელიც ყოველ წელს გამეორდებაო.

პუტილოვის ქარხანა. პარიზში პუტილოვის ქარხნის შესახებ კიდევ ბევრს მსჯელობენ. ამის შესახებ რუსეთის ცნობა ნაკლებათ სჯერათ. პუტილოვის ქარხანას 20 მილიონი მანეთით თანხის გადიდება განუზრახავს. ამ ფულს ქარხანას კრუპი და სხვა კაპიტალისტები შეპირებიან.

პოლონელთა და რუსინთა შეთანხმება. პოლონელები და რუსინები გალიციის სეიმში დეპუტატთა რიცხვის შესახებ შეთანხმდენ. რუსინებს გალიციის სეიმში წინანდელთან შედარებით ახლა შეთანხმების შემდეგ მეტი დეპუტატი ეყოლებათ. ამ შეთანხმებას შედეგათ ყვება რუსინთა უნივერსიტეტის დაარსება, რომელიც, ეჭვი არაა, რუსეთიდან უკრაინელ ახალგაზდობას მიიზიდავს.

სამხრეთ აფრიკაში. მუშათა მოძრაობის ბელადების გადასახლება როგორც სამხრეთ აფრიკაში, ისე მეტროპოლიაში დიდ აშფოთებას იწვევს. ინგლისის მუშათა პარტიამ გლაზგოში კონფერენციაზე გაკიცხა გენერალ ბოტის მოქმედება.

ლოკაუტი. ზოლოტურნის კანტონში (შვეიცარია) მუშებსა და მექარხნეებს შორის უთანხმოება მოხდა. მექარხნეებმა ორიათას მუშას ლოკაუტი გამოუცხადეს. მთავრობამ ორივე მხარეს „შესათანხმებლათ“ კომისია მოიწვია, მაგრამ კომისია ვერას გახდა. მექარხნეებსა და მუშებს შორის დამოკიდებულება ძალიან მწვავდება. მოსალოდნელია კიდევ გამოუცხადონ ლოკაუტი 50 ათას მუშას.

სკანდალი. ლოტარინგიის გარნიზონ საბლონში შემდეგი ინციდენტი მოხდა. იმპერატორის დაბადების დღეს ერთერთ რესტორანში, სადაც სამხედრო მუსიკა უკრავდა ორი ლოტარინგიელი იჯდა და ხმადაბლა რაღაცას ფრანგულათ ლაპარაკობდენ. ამ დროს მივიდა პრუსიელ ლეიტანტი მათთან და უთხრა: ან გერმანულათ ილაპარაკეთ და ან გარეთ გადითო. ლოტარინგიელები ხმის შეუბრუნებლათ მეორე ოთახში გავიდენ, მათ მეორე ოთახში კიდევ ორი ნაცნობი შეუერთდა. პრუსიელმა ლეიტანტმა ლოტარინგელებს მოსთხოვა გარეთ გასვლა, მაგრამ ამ უკანასკნელებმა უპასუხეს: არ გავალთ ვინაიდან ხელს არავის ვუშლითო. მაშინ ლეიტანტმა მაიორს დაუძახა, მაიორი მოვიდა და მოსვლის უმალ დაუყვირა: ქუდები მოიხადეთ თქვენს წინაშე პრუსიელი მაიორი ლაპარაკობს. მაიორმა ზასუხს არ დაუცადა და ერთ ლოტარინგელთაგანს სილა გააწნა, მეორეს ქუდი გადახადა და იქვე მყოფ ჯარისკაცებს უბძანა ყველა დაეპატიმრებიათ. ერთ დაპატიმრებულთაგანს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ არ დააცალა და უყვირა: ყველა პატიოსანი ლოტარინგელი საფრანგეთში გადასახლდა და თქვენ რა ვაჟბატონებიც ხართ ამას თქვენი ქუდები მოწმობსო. ბურგომისტრმა დაპატიმრებულები გაათავისუფლა. ქალაქში ამ ინციდენტმა მეტათ შემაძრუწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა.

ამბები მუშათა ცხოვრებიდან. ობუხოვის ქარხანაში გაფიცვა ეს მესამე თვეა გძელდება. ამ უკანასკნელ ხანებში გაფიცული მუშები ხშირათ ახდენენ კრებებს. მუშების ერთმა ნაწილმა მუშაობა დაიწყო, ხოლო სრული მუშაობა მანამდი არ განახლდება, სანამ მუშების უმთავრეს მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებენ. ქარხნის ადმინისტრაციამ ახალი მუშებიც მოიწვია, მაგრამ ჯერჯერობით სულ 600 კაცი მუშაობს, მაშინ როდესაც ჩვეულებრივ ექვსი ათასი კაცი მუშაობდა. გაფიცვის გაგძელებამ ქარხანას დიდი ზარალი მისცა. გაფიცულ მუშის უმრავლესობა თავთავის სოფლებში წავიდენ.

გლეხთა ექსკურსია. პეტერბურგში არსებულმა საზოგადოებამ „რუსკოე ზერნო“ გადასწყვიტა ამ წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე მოაწყოს გლეხთა ექსკურსიები მორავიასა, ჩეხისა და ბალტიის მხარეში. თვითეულ ექსკურსიაში იქნება 20—50 კაცი და ექსკურსანტი უნდა იყოს არა ნაკლები 30—40 წლისა. ექსკურსანტები დათვალიერებენ და გაეცნობიან სასოფლო მეურნეობას. მათ ხელმძღვანელობას გაუწევენ აგრონომები.

ჩვენებურ მეურნეთა და კოოპერატორთა საყურადღებოთ!

ჩვენი ფირმიდან შეგიძლიათ გამოიწეროთ შემდეგი საქონელი.

1. წმინდა შაბიაბანი—„მაკელსფილდის“ მარკისა და ინგლისის სხვა საუკეთესო ფირმებისა, 98—99% გარანტიით;
2. პარიზის წმინდა შვეინფურტის წვანე ფხვნილი;
3. მომზადებული ფხვნილი ვაზებზე და ხეხილებზე შესასხურებლათ სოკოებისა და მწერ ჭია-მატლების წინააღმდეგ;
4. გოგირდმეტიანი (პოლისულფიდები); თამბაქოს გამონახადი (ექსტრაკტი); ქლორიანი ბარი;
5. რკინის შაბიაბანი; წვანე საპონი და ჟელატინი;
6. პულვერიზატორები (შაბიაბნის შესასხურებელი.) საფრანგეთის საუკეთესო ფირმებისა;
7. ტორპილები და საბერვლები;
8. ყურძნის საწურავები საუკეთესო ფირმებისა;
9. ღვინისა და სპირტის ამოსაქაჩი, პომპები;
10. ღვინის გასაშინჯი აპარატები;
11. აზბესტის ფილტრები;
12. სასხლავი დანები და მაკრატლები;
13. ხელოვნური ანუ მინერალური სასუქები;
14, ყოველგვარი თესლეულობა საფრანგეთისა და საერთოდ უცხოეთის საუკეთესო ფირმებისა;

——

ზემოჩამოთვლილ საქონელს გარდა შეგიძლიათ გამოიწეროთ ჩვენი ფირმიდან ყველაფერი, რაც-კი მეურნეობაში გჭირდებათ, ძლიერ ზომიერ ფასათ. ფასებსა და პირობებს გაცნობებთ შეკითხვისთანავე.

დ. დამბაშიძე და კომპ.

ლონდონი.

დაბა-სოფლები

ს. ბახვი (გურია). ამ შვიდი-რვა წლის განმავლობაში სოფელ ბახვს ბევრი უბედურობა დაატყდა თავს, ბევრი მწარე დღე უნახავს მის მცხოვრებლებს, რომელთა ცხოვრებაც დარბევა-ტანჯვა-წვალებაში მიმდინარეობდა. მკითხველებს ეხსომებათ დუაბზუს ეკლესიაზე ლოცვის დროს ღვდლის ი. ღლონტის ბოროტგამზრახველისაგან ტყვიით დაჭრა. მაზრის მართველმა, ბ. ზაკუსოვმა ბოროტმოქმედის აღმოსაჩენათ ს. ბახვისა და დუაბზუს ყველა მცხოვრები შეკრიბა კანცელარიასთან ქარ-ბუქში და შმიერ-მწყურვალი დაარაჯა. დარაჯობის დროს რამდენიმე კაცი გაცივდა, ავათ გახდა და მოკვდა, ბევრს თოვლმა სახლის სახურავი ჩაუმტვრია მიუხედაობის გამო და ბევრი სხვა ასეთი უბედურება დატრიალდა. მაგ. სახლში დარჩენილმა დედაკაცმა, რომ დაატყო თოვლი სახლის სახურავს ჩამოამტვრევდა დასახვეტათ ავიდა. მართალია, სახლი გადაარჩინა უბედურმა ქალმა, მაგრამ ბავში კი ცეცხლში დაეწვა. თუ 7-8 წ. დასჯილსა და თვალცრემლიან ხალხს სამართლიანი თვალით გადმოხედა მთავრობამ, მაშინ, შესაძლებელია, ბახვის ცხოვრება კვლავ წინ წავიდეს, როგორც ეს ამ 30 წლის წინათ იყო.

საჭიროთ მიმაჩნია გავაცნო მკითხველ საზოგადოებას ბახვის წარსული კულტურული ცხოვრება. ეს სოფელი უწარჩინებულეს სოფლათ ითვლებოდა ამ 30-35 წლის წინათ მთელს ოზურგეთის მაზრაში. მის კულტურულ წინმსვლელობას დიდათ ხელს უწყობდა განსვენებული გაბრიელ ეპისკოპოზი, რომლის წყალობითა და ნივთიერი დახმარებით აშენდა ჩინებული ეკლესია, ძვირფასი შინაგანი მოწყობილობით, აუშენა და გაუხსნა სასწავლებელი, რომლის შესანახათაც 12000 მანეთი შეიტანა ქუთაისის ბანკში, საიდანაც ამ ფულის სარგებელი 744 მანეთი შკოლას ყოველწლობით ეძლევა; გაიხსნა ბახვში შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, რომელსაც განსვენ. გაბრიელმა ძირითადი თანხის გასაძლიერებლათ შესწირა 600 მან. მისავე დროს და მისივე დახმარებით; სხვა პირებთან ერთად, ვაკიჯვრიდან ნატანების წყალი გამოიყვანეს და ბახვისა და დუაბზუს საზოგადოებებს საშვალება მიეცათ თავისი მიწები მოერწყოთ. ეს ზემოხსენებული შკოლა, შემდეგ გაბრიელის ნებართვითა და ბ. შარაშიძის თაოსნობით გადაიტანა ხალხმა ახლათ შეძენილ მიწაზე და გადააკეთეს სამინისტროს ორკლასიან სამეურნეო სასწავლებლათ 1100 მანეთის სუბსიდიის დანიშვნით. დაარსდა ბახვში უფასო წიგნსაცავ-სამკითხველო, მომხმარებელი საზოგადოება, და ყველა ეს ბ. გ. შარაშიძის და მისი ამხანაგის თაოსნობითა და ენერგიული მოღვაწეობით მშვენიერათ იყო მოწყობილი და კარგათაც მიდიოდა საქმე წინ.

პატივცემულმა მასწავლებლებმა ბევრი კარგი მოსწავლე გამოზარდეს. მაგრამ ამ კეთილი ადამიანების ბახვის საკეთილდღეოთ მოღვაწეობასაც მიეცა დასასრული ზოგიერთი ვაჟბატონის წყალობით, რომელთაც მადლობის მაგიერ კეთილი მოღვაწეობისთვის [illegible] და მათაც ზურგი აქციეს ს. ბახვს.

მათ წასვლას შემდეგ შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა [illegible] სამკითხველო ხომ, თითქმის, აღარ არის. შენობა მისი [illegible] წიგნები კი მაგრათაა შკაფში ჩაკეტილი, კიდევ კარგი, თუ სულ სამერმისოთ მაინც თაგვებმა არ დახრეს; მომხმარებელი დუქანი ხომ დიდი ხანია გაქრა, რბილი და ტკბილი რაც კი იყო შეჭამეს დიდმუცელა ცილინდროსნებმა, მხოლოდ „ვივესკა“ დაა დარჩენილი, რადგანაც კბილს მოტეხდა მის შემჭმელს.

საზოგადოებამ სამი კაცისაგან ამოირჩია კომისია იმის გამოსარკვევათ, თუ ვინ მოიხმარა ეს საზოგადოებრივი ქონება, მაგრამ ამორჩევას შემდეგ აგერ გადის 7—8 წელიწადი და ჯერაც არა ისმის რა.

არაფერი არ დაგვრჩენია იმის მეტი, რომ ვსთხოვოთ ადგილობრივს გულშემატკივარ ინტელიგენციას, თუ ასეთი მოიძებნება, მიაქციოს ბახვის კულტურულ ნაშთებს ყურადღება.

„ხახვიკა“.

——

სოფელ ჭალისთავლების საყურადღებოთ. ამ რამდენსამე კვირის წინათ ამ სოფელზე გვქონდა ლაპარაკი გაზეთ „ერის“ ერთერთ ნუმერში. იქ სრული ჭეშმარიტება და მოძმისადმი სიყვარული გვაიძულებდა გვეთქვა, რომ სოფელი ჭალისთავი ყოველმხრივ დაქვეითებულია, ჩამორჩენილია. სხვა ზოგიერთ სოფელთან შედარებით, იგი არარას წარმოადგენს და რომ მას მომავალი მწარე ხვედრს უმზადებს, თუ კი იგი შემდეგშიც ძველ კალაპოტში განაგრძობს ბრძოლას არსებობისათვის. აშკარათ, მოურიდებლათ იყო ჩამოთვლილი ყველა ის მეტათ ცუდი თვისების მქონე ზნე-ჩვეულებანი, რომელნიც აფერხებენ სოფლის წინსვლას, სამუდამოთ უთხრიან ძირს მის კეთილ-დღეობას. ღვინო-ქეიფი, სხვადასხვა ცრუმორწმუნეობა, რომელიც ჯერ კიდევ ბატონობს აქ, მაზარალებელია

მცხოვრებლებს კარგათ ახსოვთ, რომ ამ 2—3 თვის წინათ არსებულს ერთ-ერთ დუქანში ქეიფობამ უდროოთ სამი კაცი იმსხვერპლა, რასაც მთელი სამი ოჯახის აწიოკება, დარბევა მოყვა. ვინ მოსთვლის რამდენი უბედურების მოწმე გამხდარვართ, რაიცა შედეგი ყოფილა მხოლოდ და მხოლოთ „ქეიფობის“ ან ბანქოს თამაშის. ისე დღესასწაული არ გაივლის, რომ ვინმე არ მოკვდეს ან არ დასახიჩრდეს. ნუთუ ყველა ამას შემდეგ მეტი იქნება, რომ ასეთი საქციელი დავგმოთ?!

ამ სოფლის უვიცობა იქამდისაც კი მიდის, რომ როცა მათ შესახებ გაზეთში იყო ცნობები, ეწყინათ და ერთი ალიაქოთი ასტეხეს: როგორ გაბედა თავისი მშობელი სოფლის გალანძღვაო. და სხვა კიდევ ვინ უწყის რას არ ამბობდენ ჩემზე ჩემი მეზობლები, როცა მათი საქციელი გამოვამზეურე და დავგმე. ისა სჯობია, თვალი გავახილოთ დავეწაფოთ სწავლა-განათლებას, სხვა სოფლებივით ჩვენც ჩვენი წვლილი მოვახმაროთ ჩვენი შვილების აღზრდისა და მათი გათვიცნობიერების საქმეს, ეს იქნება თავდები ჩვენი ბრწყინვალე მომავლისა.

მ. ტუაგაძე.

——

დ. ჭიათურა.

საბჭოს გზის მუშები. არ შემიძლია ავსწერო და გადმოგცეთ დაწვრილებით, რა განსაცდელშიც იმყოფებიან ბ. ტეხნ. გიორგობიანისა და მისი მომხრე ქვებულაძისა და რეიერის დახმარებით საბჭოს გზის მუშები. ეს საწყლები, როგრც დაბარებული იყვენ, შვიდ იანვარს გამოცხადდენ კანტორაში და სამუშავერზე გასვლა მოითხოვეს. მათ რასაკვირველია ყურიც არ უგდეს და ბაზარში სასეირნოთა და გასართობათ წავიდენ. ასე იარეს საცოდავმა მუშებმა ერთ კვირას. შემდეგ, 14 იანვარს, სამუშავერზე გაუშვეს მხოლოდ ორმოცი და დანარჩენს კი უარი უთხრეს. კიდევ მადლობა ღმერთს, რომ მშვიდობით გადარჩენ და შეურაცხყოფითა და ლანძღვა-თრევით არ გაისტუმრეს. გაუშვეს სამუშავერზე, მაგრამ წინადადება კი მისცეს, რომ შაბათამდი იმუშავებთ და შემდეგ, ადვილი შესაძლებელია, დაგითხოვოთო. მიზეზი ამ წინადადების

და ნაბძანები—ოსმალეთსა და ჩვენს შორის მშვიდობიანობის დამყარებისთვის ხელი შემეწყო და მეორე იმიტომაც, რომ გენ. რიკგოფის ჯარი, რომელიც იმერეთისა და ოდიშის საზღვრებზეა, ამით არ შემემცირებია და, თუ ჩვენსა და ოსმალეთის შორის მშვიდობიანობა დაირღვეოდა, გენერალი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩამეყენებია.

ამისათვის გენ. რიკგოვს მივსწერე, რათა თ. სეფერბეის თხოვნა რაიმე მიზნით თავიდან აეშორებია და ერჩია სეფერბეისათვის თავისი ძმა თავისივე ჯარის შემწეობით დაესაჯა.

ამასთან გადაეცა მისთვის ისიც, რომ თქვენი იმპერატორ. უდიდებულესობა ყოველთვის მზათ არის დაეხმაროს და მიიღოს მისი ქვეშევრდომობა.

ოდიშის დედოფლის სიძეს, თ. მანუჩარ შარვაშიძეს, მივსწერე, რომ იგი თავისი ჯარით დახმარებოდა სეფერბეის, რადგან მკვიდრი მისი ნათესავი იყო, და ასლანბეის მომხრეები აელაგმა.

როგორც გენ. რიკგოფი მწერს, თავადი მანუჩარი თავისი ჯარით კიდევაც შესულა აფხაზეთის სამფლობელოში და აჯანყებულ აფხაზეთს შიშის ზარს აყენებდა.

ამასთან ვაცნობე ოდიშის დედოფალსაც, რომლისათვისაც თვითონ სეფერბეისაც უთხოვია, ჯარი მიაშველოს აფხაზეთის მთავარს და ამ არეულობის დროს მეზობლობა გაუწიოს.

აფხაზეთის სამთავრო ტახტი მემკვიდრეობით ეკუთნის სეფერბეის, რომლის მხარეზეც არიან უწარჩინებულესი და საუკეთესო აფხაზეთის თავადები, აზნაურები და ჯარი, რომლის შემწეობითაც შეუძლია მას ძმის დასჯა და სოხუმის ციხიდან გაძევებაც.

ასლანბეის მხარე მხოლოდ სოხუმელებს უკავია და თუ თ. მანუჩარ შარვაშიძის ძმას, ბეჟან შარვაშიძეს, რომელიც ქელეშ-ბეის მკვლელობაში, სხვათაშორის, ერია. ბეჟან შარვაშიძე ურჩევს ყველა მის მომხრეებს, ასლან-ბეის მისცენ მხარი და მასთან ერთად სოხუმის ციხეში ასლან-ბეის უდგიან გვერდით.

უქვეშევრდომილესათ მოგახსენებთ ამ ამბავს და მაქვს პატივი დავსძინო კიდევ ის გარემოებაც, რომ ანაკლიის ციხის კომენდანტი, თ. ქელეშ-ბეის მომხრე, სოხუმში ცოლ-შვილის წასაყვანათ მისულა. ასლან ბეის მომხრეებს დაუჭერიათ, ანაკლიაში აღარ უშვებდენ და ეს გარემოება სხვა, უფრო სამწუხარო გარემოებას გამოიწვევს, რადგან ანაკლიაში უფროსი არ იმყოფება...

შეიძლება ანაკლიის მცხოვრებლებმა ამით ისარგებლონ, ოდიშთან დიდიხნით გათიშულები, შეერთდენ და ჩვენს წინააღმდეგ აღგენ.

ამისთვის, თუ თქვენი უდიდებულესობის ნება გვექნება, ანაკლიის ციხეში ჩვენს ჯარს ჩავაყენებთ და ამგვარ მოსაზრებას ბოლოს მოვუღებთ.

როგორც ჩანს გენერ. რიკგოფის მოხსენებიდან თ. მანუჩარ შარვაშიძეს ანაკლიასა და მის მცხოვრებლებზე გავლენიან პირს, ამ ციხის უფროსათ კიდევაც აურჩევია ჩვენთვის და ჩვენი მიზნისათვის სასარგებლო უფროსი და დაუყენებია ციხეში...

უქვეშევრდომილესათ მოგახსენებთ ამ ამბავს და ველი განკარგულებას, თქვენი იმპერატ. უდიდებულესობისას, სეფერბეის თხოვნის შესახებ, რათა, როგორც იგი თვითონ, ისე მთელი მისი საფლობელო ქვეყანა—აფხაზეთი, თქვენის ფარველობისა და პატრონებას ქვეშ მიიღოთ.

თეოფილე ხუსკივაძე.

(გაგძელება იქნება).

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.

მიღებულია და იყიდება ძლიერ ზომიერ ფასებში **რუსული კალენდრები** საუკეთესო გამოცემა ოტტო კიხნე-რისა და სიტინის ამხანაგობისა. ქართული კედლის და ჯიბის **კალენდრები**

ტყავის პორტფელები (Портфели адвокатскія, документныя и вексельныя). კალათები ქაღალდის ჩასაყრელი.

ჯერ ვერ გაგვიგია და ვნახოთ, რა შედეგი მოჰყვება. უკეთუ საბჭოს გზას მუშა აღარ დასჭირდება, მაშინ რაღა გვეთქმის. საწყალო მუშა ასეთი უფროსების ხელში...

სიმართლის მთქმელი.

წინასწარი ხელის მოწერით წიგნების გამოცემის გამო.

(წერილი რედაქციის მიმართ).

წინასწარი ხელისმოწერით წიგნების გამოცემა ჩვენში მოდათ გადაიქცა და, როგორც ყოველივე მოდა, იგიც გაშაბლონურდა. ამისთვის შეუფერებელი ხასიათი მიიღო. ამ საქმესაც, როგორც პერიოდულ გამოცემებს, ყოველი მცოდნე და არმცოდნე კიდებს ხელს და მის ხელმძღვანელობას გაბედულათ კისრულობს. მას უმეტესობა ნივთიერი ჩამორჩენის იმედით ეპოტინება და როცა თვით გამოცდილებით დარწმუნდება, რომ განზრახული იმედები აღარ უმართლდება, მისი შრომა შესაფერისათ არ ჯილდოვდება და როგორც სიჩქარით მოკიდა მას ხელი, ისევე სიჩქარით სტოვებს. ზოგი საზოგადო მოღვაწის სახელის მოსაპოებლათ იწყებს გამომცემლობას და მანამდი ეწევა ამ საქმეს, სანამ ჯიბე გაუძლებს და ან კიდევ ჯიბე სქელია და ამ საქმის გამოყენება თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობის გასამაგრებლათ უნდა. ბოლოს, ძალიან ცოტა ნაწილი ილვწის ბეჭდვითი სიტყვის, მწიგნობრობის საქმეზე უანგაროთ და გულწრფელათ.

ამიტომ საჭიროა, და დროცაა, ამ კულტურული საქმის ცენტრალური ორგანიზაცია ერთერთს ქართულ კულტურულ დაწესებულებას დაუქვემდებაროთ, რომ საზოგადოება უფრო ნდობით მოეპყრას მას. უამისოთ კი ხომ ვხედავთ როგორ მიმართულებას ღებულობს წინასწარი ხელისმოწერით გამოსაცემი წიგნების საქმე.

დღეს ამ საქმეს პირნათლად თითქმის ველარვინ ასრულებს. წვრილმან, ხელმოკლე გამომცემლებზე რაღა გვეთქმის, როცა საქმის უცოდინრობა გამოუცდელობით შეძლე გამომცემლებიც კი ამ საქმეში კოჭლობენ, ისინიც დანიშნულ ვადაზე წიგნებს ველარ აბარებენ ხელის მომწერლებს და ეს უკანასკნელნიც ესაყვედურებიან, თავს აბეზრებენ აგენტებს.. წიგნებზე ხელისმომწერლებისაგან დღეს იმდენი საყვედურები ისმის თუ კერძოთ, თუ პრესაში ხელისმოწერის მიმღებ აგენტებისადმი, რომ ყოვლად შეუძლებელია ყველას ცალკე პასუხი ვაძლიოთ კერძოთ და მით უფრო პრესაში, რომლის ორგვარი „Yeto“ შინაური, სარედაქციო და ოფიციალური, მთავრობის ხშირათ გვაიძულებს ვდუმდეთ.

კერძოთ ჩემი კანტორისადმი შეცთომით მომართულ საყვედურებით თავი ნქვს მობეზრებული და მათი პასუხი ძალიან ბევრ დროს მართმევს. ამიტომ კანტორა ,,იმერეთში'' წიგნებზე ხელისმომწერთა საყურადღებოთ დღეიდან ვაცხადებ, რომ **სხვების გამოცემების პასუხის მგებელი მხოლოდ** მაშინ ვიქნები, თუ **ისინი თავის გამოცემებს ვადაზე გამოცემენ და გამოუგზავნიან ხელისმომწერლებისათვის დასარიგებლათ.** წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველივე ბრალი ხელისმომწერლებმა გამომცემელს ანუ გამომცემლობას უნდა დასდვან და ა' ა აგენტს, პასუხს იმათ სთხოვენ და არა ჩვენ. ამას მოითხოვს როგორც მწიგნობრობის საქმის ცოდნა, ისე სამართლიანობა. აგენტებისადმი საყვედური კი მაშინ შეიძლება, თუ წიგნი სრულათაა გამოცემული, იგი რამდენიმე ადგილს უკვე დაურიგდა ხელისმომწერლებს, ხოლო დანარჩენებს იგი არ მიუღია. აი, ასეთ შემთხვევაშია აგენტი პასუხისმგებელი ხელისმომწერლების წინაშე.

ახლა კი ერთხელ კიდევ უპასუხებ „ერის'' მე-14 №-ში რაღაც იდუმალი მოსაზრებით ფსევდონიმ ქვეშ ამოფარებულ ხელისმომწერს „მასწავლებელთაგანს“ (?) რომ ნ. ჟორდანიას წიგნის გამომცემელი იყო გამომცემლობა „კულტურა“ თფილისში, ხოლო გ. ტაბიძის ლექსების გამოცემას აპირებდა ბ. რაჟდენ დათეშიძე ქუთაისში. აი ამათ შეეკითხეთ რა მიზეზით არ გამოდის ეს წიგნები? და თუ ესენი გამოაცხადებენ გაზეთის საშვალებით, რომ რისამე მიზეზის გამო ველარ გამოსცემენ ხსენებულ წიგნებს, მაშინ კანტორა „იმერეთი“ დაგიბრუნებთ თქვენს შემოტანილ ფულს.

„ერი“-ს ამავე მე-14 №-ში მოპასუხე ნახიჩევნელ ბ. მარჯანიშვილს საქმის გასაცნობათ და არა „ჭკუის დასარიგებლათ“, როგორც თვითონ მექათინაურება რედაქციისადმი წერილში, მოვახსენებ შემდეგს.

მე ვალდებული არ ვიყავი ჩემი კანტორის აგენტების ბიოგრაფიული ცნობები მეკრიბა, გამეგო ვის, სად და რა დაუშავებია, ან კიდევ ამა თუ იმ დანაშაულში ვინაა ბრალი და ვინ მართალი? ასეთი ცნობები ისეთ პატარა მწიგნობარ გამყრელიძეზე შემეკრიბა კი არა, დიდი, საზოგადო მოღვაწის სახელის მატარებელ პირებზეც ბევრს ვერ მოუხერხებია ნამდვილი ცნობების შეკრება და მათ შესახებაც კი სცდებიან ხოლმე. ნახიჩევნელ ქართველებში კი ვინაა რომელიმე კულტურულ საქმის გულწრფელი და ენერგიული მოსამსახურე და ვინ პირმოთნეობით, სახელისათვის მისი მოსაქმე, — ამის გამოსარკვევათ სურვილი კი მაქვს, მარა მეტათ დასაქმებულს დრო და მოცალო, სწორეთ გითხრათ, სრულებით არ მაქვს. იგი ადგილობრივათ თქვენი საქმე იყო და არის შევიძლიათ იმით ვინ რისი მომქმედია და რას აკეთებს საზოგადო საქმისთვის. და თუ ბ. ი. გამყრელიძეს არ ენდობოდით და რაღაც „საშინელ დანაშაულს“ სწამებდით, რომელთაც თქვენც, მანდაურ ქართველებს ზიანი მოგიტანათ და სხვებსაც,—ხელს რაღაზე უწერდით ორ ჩემ გამოცემაზე: ჭალადიდელისა და აკაკის ნაწერებზე, რაც უკვე დაგირიგათ და მესამე სხვისაზე, რომლის კვიტანციებსაც რაღაც დაჟინებული ჯიუტობით ჩემსას უწოდებთ, აქაო და იქნებ წიგნები არ დაგვეკარგოს, „იმერეთმა“ გვიგოს პასუხიო.

ამ უკანასკნელ შიშიანობის შესახებაც, აი რას მოგახსენებთ ბ. სამსონ! თუ ვინიცობაა ჩვენ შორის ამტყდარ უსიამოვნო პოლემიკამ ბ. ივ. გამყრელიძის ყურებამდი არ მიაწია და არაფერი გვამცნო პოემის **„რაჭა-ლეჩხუმის“** კვიტანციების და ხელის მომწერლების დაკმაყოფილების შესახებ და თქვენც თქვენი ლიტონის სიტყვით წამოსროლილ ბრალდებაზე პასუხი არ მოგთხოვათ,—მაშინ მეტი რა გზაა მანდაურ მისი ხელის მომწერლების წიგნებით დაკმაყოფილებას მე ვიკისრებ როცა „თემი“ წიგნს გამოსცემს.

მინამდი კი „მოთმინებითა თქვენითა“, დაგვჯერდით ამ უკანასკნელათ საქმის განმარტებას!

კანტორა „იმერეთი“-ს გამგე.

ისიდორე კვიცარიძე.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში მოათავსოთ შემდეგი:

პატივცემულმა პროფესორმა ბ-მა ივანე ჯავახიშვილმა გადმოსცა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას ორმო და ერთი მანეთი და ორი აბაზი ქუთაისის გუბერნიის დამშეულთა სასარგებლოთ იმ ლექციიდან ხარჯებს გარდა დარჩენილი ფული, რომელიც მან წაიკითხა ქუთაისში 11 იანვარს.—გამგეობა გულწრფელ მადლობას სწირავს პატივცემულ შემომწირველს.

ფული გადაეცემა იმ კომიტეტს, რომელიც დაარსდება დამშეულთათვის დახმარების აღმოსაჩენათ.

გამგეობის მდივანი—წევრი.

იაზონ ბაქრაძე.

—

ბ. რედაკტორო! ამ ორი წლის წინათ უნდა გამოცემულიყო ჩემი ნაწერების პირველი წიგნი, რომელზეც ხელის მოწერაც კი გაიმართა. სამწუხაროთ, ჩემსა და გამომცემლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო წიგნი ვერ გამოიცა.. თქვენი გაზეთის უკანასკნელი კვირის ნუმერში ამის შესახებ შეკითხვა იყო მოთავსებული, რომელსაც ხელს აწერდა ბ. „ერთი მასწავლებელთაგანი“. მე საჯაროთ ვაცხადებ, რომ ხელის მომწერლების ეთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნება პირველ შეძლებისათანვე.

გ. ტაბიძე.

—

ბ. ვასო ბალანჩივაძეს.

ბ. ვასო! თქვენ მიერ გაგონილი ამბავი ვილაც „მესაფლავის საქციელზე“, მოთხრობილი გაზეთ „ერის“ გუშინდელ მე-16 №-ში ბევრათ სიმართლეს არ ეთანხმება. მასში მართალია ერთი ის, რომ მესაფლავემ მიწაში ნაპოვნი ჯვარი მე გადმომცა—ეს ჯვარი საშვალო ზომისაა, არის უბრალო, თუნუქის. ინახება ეკლესიაში. მეორე: საფლავის გათხრის დროს მართლა აღმოჩნდა ერთი ძვალი, მაგრამ გატეხილი (უთაო) ჭური. მასში არაფერი არ აღმოჩენილა გარდა ხსენებული ჯვარისა, უბრალო მიწისა და ქვის. მეტი არა ყოფილა რა.

პატივისცემით ღვდელი

ნესტორ გიორგაძე.

23 იანვარი, 1914 წ.

რედაკტორ-გამომცემელი გ. ბრეგაძე.

გრძელდება ხელისმოწერა
,,სასოფლო გაზეთზე,“
24 ნოემბ. უკვე შესრულდა მისი არსებობის ერთი წელიწადი.
მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისთვის.
წლიური ფასი . . . . 4 მან.
ნახევარი წლის . . . . 2 მან.
ფულის შემოტანა შეიძლება ორჯერ:
2 მანეთი დაკვეთისთანავე, 2 მანეთიც პირველ მაისისათვის.
მთელი წლის ხელისმომწერთ გაეგზავნებათ საჩუქრათ ბოსტნეულობის საკვები ბალახის თესლები და წიგნაკები.
ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით: Кутаисъ С. Х. Школа, Александру Давидовичу Шарашидзе.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
,,სახალხო გაზეთი“
(წელიწადი მეხუთე)
1914 წ. გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდი გამოდიოდა კვირაობით სურათებიანი დამატება
1914 წლ. ხელის მომწერნი, ვინც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან მიიღებენ პრემიათ: პირველი წიგნი: ქართველი მწერლები: 1 „უგვირგვინო მეფე“ ისტორ. დრამა 5 მოქ. ალექ. შანშიაშვილისა. 2. „მიმქრალი შარავანდი“ ისტ. რომ ვ. ბარნოვისა მეორე წიგნი: უცხოეთის მწერლები: „დონ კარლოსი“—ტრაგ. შილერისა, თარგმ. გერმან. ალ. შანშიაშვილისა. და სხვ. ნაწარმოები უცხოეთის მწერლებისა მესამე წიგნი ,,სამეცნიერო კრებული.'' ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.
გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი
თფილისში და მის გარეთ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8მ.10შ.	8 მ.—„	7მ.10შ.	6მ.15შ.	6 მ.—„	5მ. 5შ.	4მ.10შ.	3მ.15შ.	3 მ.—„	2მ. 5შ.	1მ.10შ.	—15შ.

საზღვარ გარეთ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
15მ.—„	13მ15შ	12მ.10შ	11მ.5შ	10მ.—„	8მ15შ	7მ.10შ.	6მ. 5შ.	5 მ.—„	3მ.15შ.	2მ.10შ.	1მ. 5შ.

ცალკე ნომერი ყველგან შაურათ; დამატებიანი შვიდი კაპეკათ.

თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ადესელ სტუდენტთა ინციატივით გამოვა ქართულ ენაზე სამეცნიერო სალიტერატურო კრებული
,,ცხოვრება და მეცნიერება,“
რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სტუდენტების გარდა ადგილობრივ უნივერსიტეტში მომუშავე სამეცნიერო ძალები. სუფთა შემოსავალი ამ კრებულიდან გადაიდება ადესის ქართულ საზოგადოების ,,საქართველოს''-ს სასარგებლოთ.
შ ი ნ ა ა რ ს ი.
პრ.—დოც: ს. ავალიანი. დროებით გალდებულ გულთა საკითხი. ორდინატორი ნერვულ კლინიკისა ექიმი ს. ყიფშიძე: საუბარი ტვინის ფუნქციებზე. პროზექტორი ანატომიურ თეატრისა ექიმი ნ. კახიანი: ნორმალურ ანატომიის შესავალი (უჯრედი და ქსოვილი). ორდინატორი ვენერიულ კათედრაზე ექიმი მ. ცეცხლაძე: ადამიანის სქესობრივი ცხოვრება. სტუდენტი შ. ქავთარაძე: ანაბიოზი. სტ. ქ. რაჭველიშვილი. საუბარი ხელოვნების შესახებ. სტ. ს. ასლანიშვილი. სამცხე-საათაბაგოს სიძველენი. სტ. გ. კარბელაშვილი. ახალგაზრდები (მოთხ. სტუდ. ცხოვ.) სტ. დ. ჟღენტი. ბავშის აღზრდა. სტ. გ. ურუშაძე. რადის მნიშვნელობა მედიცინაში.
ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში ალექსანდრეს ქუჩა. ზ. კოკოჩაშვილის სახლი. ხელის მოწერით წიგნი ეღირება ერთი მანეთი, შემდეგ 1 მ. 10 შ.

1914 წ. მიიღება ხელის მოწერა საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ
წელიწადი მეათე. ,,ნაკადულზე“ წელიწადი მეათე
(1914 წ. 1-ლი იანვრიდან 1915 წ. 1-ლ იანვრამდი).
თფილისი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2, ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა:
მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი, მოზდილთათვის 12 წიგნი.
36 სურათი, წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებული. ჟურნალშიაც მოთხრობები და სამეცნიერო წერილები დასურათებულია.
საჩუქრათ ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი:
„მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქვეველი მთები“,
(მრავალი სურათით), გიორგი ანთელაძისა.
ფასი ჟურნალისა: ორივე გამოცემა წლიურათ—5 მ., ნახევარი წლით—3 მ., საზღვარგარეთ—7 მ., ნახევარი წლით—4 მან., მცირე წლოვანთათვის ცალკე 3 მ.; მოზდილთათვის—3 მ., ხელის მოწერა მიიღება წლიურათ და ნახევარი წლით. ხელის-მოწერა შეიძლება:
თფილისში: „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, Редакція „Накадули“, Головинскій просп. № 8, და წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. ქუთაისში—ისიდორე კვიცარიძესთან. მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან, სამტრედიაში—ვლ. ნაცვალიძესთან, ფოთში—თეოფილე კანდელაკთან, ბათომში—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან და ანასტასია ლომინაძესთან. ოზურგეთში და ლანჩხუთში—ლეო იმნაძესთან. თელავში—ვანო პაატაშვილთან, ახალციხეში—კონსტანტინე გვარამაძესთან, ბაქოში—ვასო ახვლედიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან, გორში—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან, სოხუმში—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, ჭიათურაში—ივანე გომელაურთან, განჯაში—გ. ამბოქაძესთან, ერევანში—კ. ოდიშარიასთან, ყარსში—ივ. საათაშვილთან; ალექსანდროპოლში—ს. შატბერაშვილთან, როსტოვში—მ. კლიმიაშვილთან, ხონში—მ. ი. ჭავჭანიძესთან.
ვსთხოვთ ხელის მომწერლებს, ადრესი გარჩევით დასწერონ, თუ ჟურნალი არ მისდიოთ, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და დროზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.
1631 რედაქტორი ნ. ნაკაშიძე. გამომც. თ-დ პ. თუმანიშვილი.

გ. გორდამისა და ს. წერეთლის
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის კოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ“
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო
ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სადებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

რკინის გზა.

ქუთაისიდან მიდის

თფილისს:	სახალხო დილის	10 საათ.	6 წ.
	ფოშტის დილის	11 საათ.	55 წ.
	სახალხო ღამით	11 საათ.	27 წ.
ბათომს:	სახალხო დილის	5 საათ.	10 წ.
	სახალხო ღამით	11 საათ.	27 წ.
	ფოშტის საღამოს	5 საათ.	21 წ.
ფოთს:	სამგზავრო დილის	4 საათ.	22 წ.
	სახალხო ღამით	5 საათ.	10 წ.
	ფოშტის დღით	5 საათ.	21 წ.
შორაპანს:	სამგზავრო დღით	4 საათ.	57 წ.
ტყიბულს:	სახალხო დილის	7 საათ.	50 წ.

ქუთაისს მოდის.

თფილისიდან:	სახალ. დილ.	7 საათ.	—
	ფოშტის საღამ.	6 საათ.	55 წ.
	სახალხო ღამ.	1 საათ.	28 წ.
ბათომიდან:	საფ.-სახ. დილ.	11 საათ.	14 წ.
	სახალხო ღამ.	1 საათ.	27 წ.
ფოთიდან:	სამგზავრ. დილ.	10 საათ.	3 წ.
	სახალხო დღით	1 საათ.	20 წ.
	სახალ. ღამით	1 საათ.	26 წ.
შორაპნიდან:	სამგზავრ. დილის	9 საათ.	31 წ.
ტყიბულიდან:	საღამოს —	5 საათ.	11 წ.

ბ ი ლ ე თ ი ს ფ ა ს ი:

	II კლ. მან.	II კლ. კაპ.	III კლ. მან.	III კლ. კაპ.
თფილისამდი — —	4	31	2	87
ბათომამდი — —	3	5	2	3
ფოთამდი — — —	2	21	1	47
ჭიათურამდი — —	1	76	1	17
ბაქომდი — — —	10	81	7	20
მოსკოვამდი — —	27	90	18	65
პეტერბურგამდი —	33	31	22	20
ვარშავამდი — —	31	50	21	5

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვისა ,ქუთაისში.